საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

KA010148618596722

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40–51–48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40–51–48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№16687

14 / დეკემბერი / 2022 წ.

ბატონ ვიქტორ დათაშვილს
ელფოსტა: foi+request-1112-b3396edb@askgov.ge

ბატონო ვიქტორ,

საქართველოს იუსტიციის სამინისტროში წარმოდგენილი თქვენი განცხადების (საქართველოს იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციის № 01/31080) პასუხად, რომლის თანახმადაც მოთხოვნილია ინფორმაცია ყოფილ პატიმართათვის განკუთვნილი პროგრამების თაობაზე, გაცნობებთ შემდეგს:

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო“ ახორციელებს ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამას. პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ პირები, რომლებიც წარსულში იხდიდნენ სასჯელს ან აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებულ პატიმრობას საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს პენიტენციურ დაწესებულებაში.

პროგრამის მიზანია, პენიტენციური დაწესებულებებიდან გათავისუფლებულ ყოფილ პატიმართა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის გზით დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკის შემცირება, კერძოდ, ისეთი აქტივობების განხორციელება და მომსახურების შეთავაზება, რომელთა არარსებობა შესაძლებელია, ზრდიდეს დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკს, ხოლო მიწოდება ხელს უწყობს ამავე პირებს რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სირთულეების დაძლევაში.

პროგრამა ითვალისწინებს შემდეგი სახის მომსახურებებს:

ფსიქოსოციალური მომსახურება;

იურიდიული მომსახურება;

აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამებში ჩართვა;

ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

სპორტული, რეკრეაციული და კულტურული ღონისძიებების განხორციელება;

პროფესიული გადამზადება;

არაფორმალური განათლება;

უცხო ენის შესწავლა;

დასაქმების ხელშეწყობა.

გარდა ამ მომსახურებებისა, პროგრამა შესაძლებელია, ითვალისწინებდეს სხვა სახის კანონიერ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომლის შედეგადაც იქმნება ყოფილი პატიმრების რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის წამახალისებელი პირობები და მცირდება რისკები, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს ამავე მიზნების მიღწევას. პროგრამაში ყოფილი მსჯავრდებულების ჩართვა ნებაყოფლობითია, ხოლო პროგრამის მომსახურებებით სარგებლობა შეუძლიათ როგორც პროგრამის ბენეფიციარებს, ისე მათი ოჯახის წევრებს.

ამასთან, დანართის სახით გიგზავნით ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამის 2017-2022 წლების სტატისტიკურ ინფორმაციას.

პატივისცემით,

ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი)

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სალომე რთველაძე